# ᲮᲔᲚᲨᲔᲙᲠᲣᲚᲔᲑᲐ ᲡᲐᲮᲔᲚᲛᲬᲘᲤᲝ ᲨᲔᲡᲧᲘᲓᲕᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ №9

ქ. თბილისი 9 მარტი 2011 წელი

ერთის მხრივ, შ.პ.ს. საფეხბურთო კლუბი "დინამო ბათუმი" მისი დირექტორის სულხან გოგიბერიძის სახით, (შემდგომში-„შემსყიდველი") და მეორეს მხრივ შ.პ.ს "პროსერვისი" მისი აღმასრულებელი დირექტორის რევაზ ნატროშვილის (შემდგომში –„მიმწოდებელი") საქართველოს კანონის „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" მე-7 მუხლის 1 პუნქტის „ა" ქვეპუნქტის საფუძველზე ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

## 1. ხელშეკრულების საგანი

1.1. წინამდებარე ხელშეკრულების საფუძველზე მიმწოდებელი თანახმაა შ.პ.ს. საფეხბურთო კლუბ "დინამო ბათუმი"-სათვის „დომენების" dns ჩანაწერის შექმნას, 24 საათიან შენახვას - web/mail ჰოსტინგს ინტერნეტში, რისთვისაც "შემსყიდველი" - სათვის "შემსრულებელი" მის კუთვნილ UNIX სერვერზე გამოყოფს 3000 მბ დისკური სივრცეს დომენებისათვის www.dinamobatumi.ge"-ზე, უზრუნველყოფს VPN კავშირს მობილურ ოპერატორებთან. ამასთან გარანტირებული აფ–თაიმი შეადგენს 99,5%, ხოლო შემსყიდველი კისრულობს ვალდებულებას გადაიხადოს მისი ღირებულება ხელშეკრულებით დადგენილი წესით.

1.2. მიმწოდებელი ასრულებს, ხოლო შემსყიდველი ღებულობს შესრულებულ მომსახურებას და ახდენს მისი ღირებულების ანაზღაურებას წინამდებარე ხელშეკრულების 2.3 პუნქტის შესაბამისად.

1.3. წინამდებარე ხელშეკრულება არეგულირებს ურთიერთობებს, რომელიც წარმოიშობა მხარეთა შორის.

## 2. ᲛᲝᲛᲡᲐᲮᲣᲠᲔᲑᲘᲡ ᲦᲘᲠᲔᲑᲣᲚᲔᲑᲐ ᲓᲐ ᲐᲜᲒᲐᲠᲘᲨᲡᲬᲝᲠᲔᲑᲘᲡ ᲬᲔᲡᲘ

2.1. ხელშეკრულების საერთო ღირებულება შეადგენს 222 (ორასოცდაორი) ლარს. მხარეები თანხმდებიან, რომ "შეკვეთის" ფასი (ჰოსტინგის წლიური ღირებულება) განისაზღვრება 222 ლარით, სულ სერვისის თვიური ღირებულება შეადგენს 18,50 ლარს.

2.2 მომსახურების ღირებულებაში შედის საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული ყველა გადასახადი, რომელთა გადახდაზე პასუხისმგებელია მიმწოდებელი "შემსყიდველი" იღებს ვალდებულებას უზრუნველყოს თანხის წინასწარ გადახდა.

2.3. მიმწოდებელი ვალდებულია შემსყიდველთან ერთად დააფიქსიროს შესრულებული მომსახურების ღირებულება და ყოველთვიურად წარმოადგინოს შესაბამისი ანგარიშ-ფაქტურა.

2.4. თუ შემსყიდველის მიერ ხელშეკრულებით განსაზღვრული შესასრულებელი მომსახურების მოცულობების ღირებულებამ არ შეადგინა აღნიშნული ხელშეკრულებით გათვალისწინებული თანხა, ასეთ შემთხვევაში შემსყიდველი გადაუხდის მიმწოდებელს ფაქტიურად შესრულებული მომსახურების მოცულობების ღირებულებას. აღნიშნულიდან გამომდინარე მიმწოდებელს პრეტენზია არ უნდა გააჩნდეს აუთვისებელ მომსახურების მოცულობების ანაზღაურებაზე.

## 5. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

5.1. შემსყიდველი და მიმწოდებელი მოქმედებს „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის სრული დაცვით.

5.1"შემსრულებელი" ვალდებულია: განახორციელოს მისი კუთვნილი სერვერების მუდმივი მონიტორინგი და იზრუნოს მათ უსაფრთხოებაზე, მოახდინოს ვებ გვერდის (თუ ასეთი არსებობს) სარეზერვო კოპიოს შენახვა ყოველ 1–3 დღეში და ვებ გვერდის არასანქცირებული დაზიანების შემთხვევაში მოახდინოს აღდგენა სარეზერვო კოპიოდან. ამასთან "შემსრულებელი" არ არის პასუხისმგებელი "დამკვეთის" მიერ მისთვის გამოყოფილ ვებ სივრცეში გამოყენებული პროგრამული უზრუნველყოფის უსაფრთხოებაზე.

5.2 "შემსყიდველი" ვალდებულია ხელშეკრულებაში მითითებულ ვადებში შეასრულოს 3.2. პუნქტით ნაკისრი ვალდებულებები;

შემსყიდველი იღებს ვალდებულებას არ ჩატვირთოს სერვერზე, არ გამოიყენოს გასაგზავნად ან არ განათავსოს კონტენტი რომელიც:

- იმ კონტენტების ჩატვირთვა, გაგზავნა, გადაცემა ან სხვა სახით განთავსება, რომლებიც ეხება რაიმე პატენტს, სავაჭრო ნიშანს, კომერციულ საიდუმლოებას ან არღვევს მესამე მხარის საავტორო უფლებებს.
- იმ კონტენტების ჩატვირთვა, გაგზავნა, გადაცემა ან სხვა სახით განთავსება, რომლებზეც შეიცავენ სპამს (მათ შორის საძიებო), უცხო ელექტრონულ მისამართებს;
- იმ კონტენტების ჩატვირთვა, გაგზავნა, გადაცემა ან სხვა სახით განთავსება, რომლებიც შეიცავენ ვირუსებსა და სხვა კომპიუტერულ კოდებს, ფაილებს და პროგრამებს, რომლებიც განსაზღვრულნი არიან პროგრამების, კომპიუტერებისა და ტელესაკომუნიკაციო მოწყობილობათა ფუნქციონალური შეზღუდვის, დარღვევისა თუ განადგურებისათვის. ასევე კომერციული პროგრამული პროდუქტების სერიული ნომრების, კოდების, ლოგინების, პაროლების ან სხვა რაიმე ინფორმაციის გამოქვეყნება, რაც ხელს შეუწყობს ინტერნეტის ფასიან რესურსებში არასანქცირებულ ხელმისაწვდომობას, აგრეთვე ზემოთაღნიშნულ ინფორმაციაზე ლინკების განთავსება;
- საქართველოს კანონმდებლობისა და საერთაშორისო ნორმების შეგნებული დარღვევა;

5.3 მხარეთა მიერ ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის, ანდა არაჯეროვანი შესრულებისას, დაინტერესებული მხარე უფლებამოსილია ცალმხრივად შეწყვიტოს წინამდებარე ხელშეკრულების მოქმედება და მოითხოვოს მიყენებული ზიანის ანაზღაურება საქართველოში მოქმედი კანონმდებლობის საფუძველსა და ფარგლებში.

## 6 კონფიდენციალურობა

6.1 შემსრულებელი იღებს ვალდებულებას – დაიცვას კონფიდენციალურობა დამკვეთის მიერ მოწოდებულ თუ სერვერზე განთავსებულ მასალებზე, არ შეინახოს და არ გაავრცელოს ისინი დამკვეთის ნებართვის გარეშე.

## 7. მხარეთა პასუხისმგებლობა
## ხელშეკრულების პირობების დარღვევისას

7.1. თუ მიმწოდებელი არ ასრულებს მომსახურების მიწოდებასთან დაკავშირებულ თავის ვალდებულებებს ხელშეკრულებაში მითითებულ ვადებში შემსყიდველი წერილობითი ფორმით აფრთხილებს მიმწოდებელს დაიცვას ხელშეკრულების პირობები.

7.2. შემსყიდველს უფლება აქვს მიმწოდებელს შეუწყვიტოს ხელშეკრულების შესრულება წერილობითი ფორმით შეტყობინების შემდეგ მიმწოდებლის მიერ მისი ვალდებულებების ან მისი ნაწილის შეუსრულებლობის შემთხვევაში თუ:

ა) მიმწოდებელმა არ შეასრულა მომსახურება ხელშეკრულებაში მითითებულ ვადებში.

ბ) თუ მიმწოდებელმა არ შეასრულა ხელშეკრულებით გათვალისწინებული სხვა თავისი ვალდებულებები.

7.3. თუ მიმწოდებელი არ ასრულებს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებს, მას დაეკისრება პირგასამტეხლოს გადახდა 0.25%-ის ოდენობით ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე.

7.4. იმ შემთხვევაში, თუ ვადების გადაცილებით გადახდილი (ან გადასახდელი) პირგასამტეხლოს მთლიანი თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 2%-ს ხელშეკრულების მოქმედება, ვადამდე შეწყდება.

7.5. ჯარიმისა და პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს მხარეებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისაგან.

## 8. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა ან შეწყვეტა

8.1. ხელშეკრულების დადების შემდეგ არცერთ მხარეს არა აქვს უფლება ცალმხრივად შეცვალოს ხელშეკრულების პირობები.

8.2. თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია.

8.3. ნებისმიერი ცვლილება რომელსაც მოჰყვება ხელშეკრულების ფასის გაზრდა ან შემსყიდველის პირობების გაუარესება, დაუშვებელია გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევისა.

8.4. ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულების დანართის სახით წერილობითი ფორმით და ხელმოწერილი იქნას ორივე მხარის მიერ, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

8.5. მხარეს შეუძლია უარი თქვას ვალდებულების შესრულებაზე, თუ მეორე მხარე აშკარად არღვევს წინამდებარე ხელშეკრულებით განსაზღვრულ მოთხოვნას.

8.6. თუ ხელშეკრულების დადების შემდეგ აღმოჩნდება, რომ არსებობს რეალური საშიშროება იმისა, რომ მიმწოდებელი არ შეასრულებს თავის ვალდებულებას ჯეროვნად და კეთილსინდისიერად, შემსყიდველი უფლებამოსილია ვადაზე ადრე მოითხოვოს წინამდებარე ხელშეკრულების შეწყვეტა

8.7. წინამდებარე ხელშეკრულება შეიძლება შეწყდეს ვადაზე ადრე მხარეთა შეთანხმების საფუძველზე.

8.8. ხელშეკრულება შეიძლება შეწყდეს აგრეთვე საქართველოს სამოქალაქო კოდექსით გათვალისწინებული სხვა შემთხვევებში.

8.9. ერთ-ერთი მხარის ინიციატივით წინამდებარე ხელშეკრულების ვადაზე ადრე შეწყვეტის თაობაზე მეორე მხარეს უნდა ეცნობოს დაუყოვნებლივ.

## 9. მომსახურების გაწევისა და ხელშეკრულების მოქმედების ვადები

9.1. მომსახურების გაწევის ვადა განისაზღვროს 2011 წლის 9 მარტიდან.

9.2. ხელშეკრულების მოქმედების ,ვადა განისაზღვროს 2012 წლის 9 მარტამდე პერიოდი.

## 10. ფორს-მაჟორული სიტუაციები

10.1. მხარეები არ არიან პასუხისმგებელნი თავიანთ ვალდებულებათა სრულად ან ნაწილობრივ შესრულებაზე, თუ ეს შეუსრულებლობა გამოწვეულია ისეთი გარემოებებით, როგორიცაა წყალდიდობა, ხანძარი, მიწისძვრა და სხვა სტიქიური მოვლენები, აგრეთვე ომები და საომარი მოქმედებები, ექსპორტისა და იმპორტის აკრძალვა, თუ ისინი უშუალო ზემოქმედებას ახდენენ ხელშეკრულების შესრულებაზე.

10.2. ხელშეკრულების შესრულების ვადა გადაიწევს შესაბამისი დროით, ფორს-მაჟორული გარემოებათა დასრულების შემდეგ.

10.3. მხარეს, რომელსაც შეექმნა ფორს-მაჟორული გარემოება, დაუყონებლივ უნდა აცნობოს წერილობით ამის შესახებ მეორე მხარეს. ამასთან მეორე მხარის მოთხოვნის შემთხვევაში, უნდა წარმოადგინოს დაუძლეველი ძალის მოვლენების არსებობის დამადასტურებელი დოკუმენტი, რომ ამ მოვლენამ ხელი შეუშალა მხარეს ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულების შესრულებაში.

## 11. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

11.1. ხელშეკრულების დამდები მხარეები თანხმდებიან მასზედ, რომ ყველა ღონეს იხმარენ, რათა პირდაპირი არაოფიციალური მოლაპარაკებების მეშვეობით, შეთანხმებით მოაგვარონ ნებისმიერი უთანხმოება და დავა წარმოქმნილი მათ შორის ხელშეკრულების ან მასთან დაკავშირებული საკითხების ირგვლივ.

11.2 თუ ასეთი მოლაპარაკებების დაწყებიდან 30 (ოცდაათი) დღის განმავლობაში შემსყიდველი და მიმწოდებელი ვერ შეძლებენ სადაო საკითხების შეთანხმებას, ნებისმიერ მხარეს შეუძლია დადგენილი წესით მიმართოს სასამართლოს, თუ ხელშეკრულების პირობებში სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.

## 12. გადასახადები და გადები

მიმწოდებელი პასუხს აგებს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი გადასახადების, მოსაკრებლების და სხვა გადასახდელების გადახდაზე.

## 13. შეტყობინება

13.1. ნებისმიერი შეტყობინება, რომელსაც ერთი მხარე, ხელშეკრულების შესაბამისად, უგზავნის მეორე მხარეს, გაიგზავნება წერილის, დეპეშის, ტელექსის ან ფაქსის სახით, ორიგინალის შემდგომი წარმოდგენით, ხელშეკრულებაში მითითებული მეორე მხარის მისამართზე.

13.2. შეტყობინება შედის ძალაში ადრესატის მიერ მისი მიღების დღეს ან შეტყობინების ძალაში შესვლის დადგენილ დღეს, იმის მიხედვით, თუ ამ თარიღებიდან რომელი უფრო გვიან დგება.

## 14. სხვა პირობები

14.1. მიმწოდებელს არა აქვს უფლება შემსყიდველის წერილობითი თანხმობის გარეშე მთლიანად ან ნაწილობრივ გადასცეს მესამე პირს ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული უფლება-მოვალეობანი.

14.2. ხელშეკრულება ძალაში შედის, მხარეთა მიერ მისი ხელმოწერის მომენტიდან.

14.3. ხელშეკრულება იდება ორი ერთნაირი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლარად, თითო ეგზემპლარი ინახება ხელშეკრულების დამდებ მხარეებთან.

## 15. მხარეთა რეკვიზიტები და ხელმოწერები

**„შემსყიდველი“**

შ.პ.ს საფეხბურთო კლუბი "დინამო ბათუმი"
მის: ქ. ბათუმი, ლ. ასათიანის ქ. №25
ს.ს. „პროკრედიტ ბანკის“
ბათუმის ფილიალი, ბ/კ MIBGGE22
ა/ა №360801010300281, ს/კ 245622205.

T: 7-40-33 e-mail dinamobatumi@mail.ru

დირექტორი: სულხან გოგიბერიძე

______________________
ხელმოწერა

**„მიმწოდებელი“**

შ.პ.ს. "პროსერვისი"
მის: ქ. თბილისი, ი. აბაშიძის 42, მე 3
სადარბაზო, ბინა 26
ს.ს. „თი-ბი-სი“ ბანკი ბ/კ 220101830,
მ/ა № GE28TB0600000303467561,ს/კ 204929168

contact@proservice.geტელ: 233 005; 508 333
აღმასრულებელი დირექტორი:

რევაზ ნატროშვილი

______________________
ხელმოწერა